# საქართველო

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ : (032) 2285411

09-02-16/625

29 [illegible] 2014 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარეს
ბატონ არჩილ ხაბაძეს

ბატონო არჩილ,

გაცნობებთ, რომ 2013 წლის 19 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით მთავრობის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანას, რომელიც მიმაგრებული იყო მთავრობის აპარატის ყოფილ უფროსზე, ირაკლი ჭეიშვილზე, 4-ჯერ აქვს გადაკვეთილი სახელმწიფო საზღვარი (თურქეთის მიმართულებით).

შემხვედრი აუცილებლობის გამო, გთხოვთ, მომაწოდოთ აღნიშნული ავტომანქანის, ამ მიმართულებით, გადაადგილების მიზნობრიობის ოფიციალური დოკუმენტები.

პატივისცემით,

უმაღლესი საბჭოს წევრი მედეა ვასაძე

29.08.14

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატი

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
ADMINISTRATION OF GOVERNMENT

2

№ 05-19/7 321-20-16/2014 10 09 2014

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ქალბატონ მედეა ვასაძეს

ქალბატონო მედეა,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში წარმოდგენილი თქვენი 2014 წლის 29 აგვისტოს №09–02–16/625 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატში რეგისტრირებული არ არის.

პატივისცემით,

აპარატის უფროსი რუსლან ქორიძე

09-02-15/421
10 09 4

6010 ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას 9
ტელ.: (422) 272070
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia. 9, Gamsakhurdia str.
Phone: +995 (422) 272070
administration@ajara.gov.ge

## საქართველო

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
## უმაღლესი საბჭოს წევრი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ : (032) 2285411

08-02-16/630

01 სექტემბერი 2014 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
სასაზღვრო პოლიციის ბათუმის
№ 1 სამმართველოს უფროსს
პოლკოვნიკ ავთანდილ ბერიძეს
ბათუმი, ვახტანგ გორგასალის 154

ბატონო ავთანდილ,

შემხვედრი საჭიროების გამო, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია, კერძოდ, 2013 წლის 19-დან 25 სექტემბრის ჩათვლით რამდენჯერ და (ზუსტად) რა დროს აქვს გადაკვეთილი სარფის საზღვარი აჭარის მთავრობის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანას სახელმწიფო ნომრით Hyundai CJC 967.

პატივისცემით,
აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრი,
ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

მედეა ვასაძე

02.09.14

313-20-16/2014

4

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველო (ბათუმი)

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA SUBORDINATED STATE ENTITY – BORDER POLICE OF GEORGIA LAND BORDER DEFENSE DEPARTMENT BORDER POLICE OFFICE №1 (BATUMI)

N 1719957 03 09 2014 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისიის თავჯდომარეს

ქალბატონ მედეა ვასაძეს

ქალბატონო მედეა,

თქვენს 2014 წლის 01 სექტემბრის N 09–20–16/630 წერილზე გაცნობებთ, რომ მასში აღნიშნულ საკითხზე პასუხის გაცემა სცილდება ჩვენს კომპეტენციას, რის გადასაწყვეტად უნდა მიმართოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო–ანალიტიკურ დეპარტამენტს.

პატივისცემით,

N 1 სამმართველოს (ბათუმი) უფროსი,
სასაზღვრო პოლიციის პოლკოვნიკი ავთანდილ ზერიძე

09-02-15/410
04 09 4

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. № 154, ტელ: (+995) 0422 273101, ელ.ფოსტა: gbp-batumi@mia.gov.ge
Autonomous Republic of Adjara, Batumi, V.Gorgasali st. №154, Tel: (+995)0422 273101, e-mail: gbp-batumi@mia.gov.ge

# საქართველო

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ : (032) 2285411

09-02-16/635

2 სექტემბერი 2014 წ.

საქართველოს შსს აჭარის საპატრულო პოლიციის
უფროსს ბატონ თეიმურაზ კუპატაძეს

ბატონო თეიმურაზ ,

შემხვედრი აუცილებლობის გამო გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია
პირველი - 2013 წლის 19-დან 25 სექტემბერის ჩათვლით რამდენჯერ აქვს გადაკვეთილი სახელმწიფო საზღვარი (სარფის) ავტომანაქანას სახელმწიფო ნომრით Hundai CJC967 და
მეორე აქვს თუ არა საზღვარი გადაკვეთილი მოქალაქე კახაბერ კიკვაძეს (პ/N 061001017044), დაბადებულს 1981 წლის 15 აგვისტოს (ამავე პერიოდში).

პატივისცემით,

უმაღლესი საბჭოს წევრი — მედეა ვასაძე

322-20-16/2014 6

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ
ᲡᲐᲞᲐᲢᲠᲣᲚᲝ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ
ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORG
PATROL POLICE DEPARTMENT
ADJARA MAIN DIVISION

№ 1727678

„04" 09 2014

შსს ს.ს.ი.პ. მომსახურების სააგენტოს
ბათუმის განყოფილების უფროსს,
პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დ. გაბელაშვილს

ასლი ცნობისათვის: აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრს
ქალბატონ მედეა ვასაძეს

მის. ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. № 25

ბატონო დავით,

ქვემდებარეობით, შემდგომი რეაგირებისათვის გეგზავნებათ აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრის ქალბატონ მედეა ვასაძის 2014 წლის 02 სექტემბრის № 09-02-16/635 წერილი (შემოსვლის № 1719387), საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების თაობაზე.

გთხოვთ პასუხი აცნობოთ ინიციატორს.

პატივისცემით,

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის
აჭარის მთავარი სამმართველოს უფროსი,
პოლიციის პოლკოვნიკი

თ. ბუპატაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსული № 09-02-15/429
„11" 09 2014 წ.

ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. №11
№11 Tbel Abuseridze st., Batumi
ტელ./Tel.: (+995 422) 27 02 14
E-mail: choroxi@mia.gov.ge

326-ლ-10/ლ

7

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს
სამმართველო
WEST GEORGIA DEPARTMENT OF LEPL-SERVICE AGENCY OF MINISTRY OF
INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

ქუთაისი, სულხან-საბას ქ. № 19ბ    ტელ: 241 91 00, 0431 23 57 96    19b, Sulkhan-saba st., KUTAISI

MIA 0 14 01769340

09/09/2014

აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრს
ქალბატონ ***მედეა ვასაძეს***
მის. ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. № 25

*ქალბატონო მედეა,*

2014 წლის 02 სექტემბრის თქვენი № 09-02-16/635 წერილი შემდგომი რეაგირებისათვის 2014 წლის 09 სექტემბერს N 1769249 სამსახურებრივი ბარათით გადაიგზავნა საქართველოს შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში.

ქ.ბათუმის განყოფილების
უფროსი

*დავით გაბელაშვილი*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატი
საქმისწარმოების განყოფილება
შემოსვლის N: 09-02-15/431
15 09 2014 წ

8

# საქართველო

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ : (032) 2285411

09-02-16/636

2 სექტემბერი 2014 წ

საქართველოს შსს-ს ცენტრალუ
კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტ
აჭარის ა. რ. სამმართველ

**შემხვედრი** აუცილებლობის გამო გთხოვთ, მაცნობოთ იყო თუ არა დაკავებუ მოქალაქე კახაბერ კიკვაძე თქვენს მიერ, 2013 წლის 19-დან 25 სექტემბრის ჩათვლ რა დანაშაულისათვის და ამ პერიოდისათვის ფიქსირდება თუ არა, მის მ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა-გადმოკვეთა (დროის ზუსტი მინიშნებით).

პატივისცემით,
უმაღლესი საბჭოს წევრი მედეა ვასაძე

314-20-16/2014

9

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 3 14 01729347

04/09/2014

აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს
წევრს, ქალბატონ მ. ვასაძეს

ქალბატონო მედეა,

თქვენი, მიმდინარე წლის 02 სექტემბრის N:09-02-16/636 წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ მომართვაში ხსენებული ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ, გთხოვთ მიმართოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციას.

პატივისცემით,

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის
დეპარტამენტი / აჭარის ა/რ სამმართველო /
ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის
განყოფილება
განყოფილების უფროსი-გამომძიებელი
არჩილ ჯორთმენაძე

03-02-15/415
05 09 14

10

# საქართველო
## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბათუმი, მელაშვილის ქ. №25
ტელ : (032) 2285411

09-02-16/641

03 სექტემბერი 2014 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორს
ბატონ გოჩა რატიანს

ბატონო გოჩა,

შემხვედრი აუცილებლობის გამო, რომელიც დაკავშირებულია ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის გადასამოწმებლად გთხოვთ, მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია : პირველი - 2013 წლის 19-დან 25 სექტემბერის ჩათვლით რამდენჯერ აქვს გადაკვეთილი სახელმწიფო საზღვარი (სარფის) ავტომანაქანას სახელმწიფო ნომრით Hundai CJC967 და მეორე – აქვს თუ არა საზღვარი გადაკვეთილი მოქალაქე კახაბერ კიკვაძეს (პ/N 061001017044), დაბადებულს 1981 წლის 15 აგვისტოს (ამავე პერიოდში).

პატივისცემით,
უმაღლესი საბჭოს წევრი — მედეა ვასაძე

349-20-16/2014 11

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

№ 1908968   26 05 2014წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს წევრს ქალბატონ მედეა ვასაძეს

ქალბატონო მედეა,

თქვენი N09-02-16/641 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რომელთა დამუშავება/გაცემა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის გათვალისწინებით მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან/და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლით გათვალისწინებული დამუშავების საფუძვლების არსებობისას. ამავე კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შინაგან საქმეთა სამინისტრო, როგორც მონაცემთა დამმუშავებელი, აღრიცხავს მონაცემთა დამუშავების/გაცემის სამართლებრივ საფუძვლებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დააზუსტოთ მონაცემთა დამუშავების კანონით გათვალისწინებული საფუძველი და, მიზანი ან წარმოადგინოთ მონაცემთა სუბიექტის თანხმობა.

პატივისცემით,

შსს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე   გიორგი სახოკია

09-02-15/467

29 09 14

0114, თბილისი, გ.გულუას ქ.10 ; ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (+995 32) 2411005
10, .G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.:(+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

12

# საქართველო

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი

ბათუმი, მელენეიშვილის ქ. №25
ტელ : (032) 2285411

09-02-16/745

06 ოქტომბერი 2014 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს ბატონ გიორგი სახოკიას

(თქვენს 2014 წლის 26 სექტემბრის #1908968 წერილზე)

ბატონო გიორგი,

მოგესალმებით და გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს, ამასთან გაცნობებთ, რომ ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მერვე მუხლის საფუძველზე, რომლითაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობას, გთხოვთ, აჭარის ა.რ. მთავრობის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის Hyundai GJG 967 მიერ, 2013 წლის მარტის თვეში, სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე ინფორმაციას, რადგან ეს ინფორმაცია არ გახლავთ არც სახელმწიფო და არც კომერციული საიდუმლოება და არ მოიცავს არავითარ პერსონალურ მონაცემებს.

პატივისცემით,
უმაღლესი საბჭოს წევრი მედეა ვასაძე

473-20-16/2014

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

13

№ 2642104 25 12 2014წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრს
ქალბატონ მედეა ვასაძეს
მის: ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. N25

ქალბატონო მედეა,

თქვენი N09-02-16/897 წერილის პასუხად, დანართის სახით გიგზავნით შსს საინფორმაციო – ანალიტიკური დეპარტამენტის მონაცემთა ბაზების მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ბალანსზე არსებული ავტომანქანა Hyundai №CJC 967–ის მიერ თქვენ მიერ მოთხოვნილ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის ფაქტებზე ინფორმაციას.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

შსს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე გიორგი სახოკია

09-02-15/654
26 12 14

0114, თბილისი, გ.გულუას ქ.10 ; ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (+995 32) 2411005
10, .G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.:(+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

14

| თარიღი | დაბადებული | მიმართ | ქვეყანა | გამტარი პუნქტი | ავტო | ტექ# | ვინი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18/09/2013 22:17 | 25/08/1965 | გასვლა | საქართველო | სარფი | CJC967 | TV0120959 | KMHEC41CBCA391545 |
| 19/09/2013 00:47 | 25/08/1965 | შემოსვლა | საქართველო | სარფი | CJC967 | TV0120959 | KMHEC41CBCA391545 |
| 19/09/2013 14:59 | 25/08/1965 | გასვლა | საქართველო | სარფი | CJC967 | TV0120959 | KMHEC41CBCA391545 |
| 20/09/2013 01:27 | 25/08/1965 | შემოსვლა | საქართველო | სარფი | CJC967 | TV0120959 | KMHEC41CBCA391545 |
| 14 | | | | | | | |